# ვირჩევთ ღირსეულ კანდიდატებს

დღეს სახალხო დეპუტატობის კანდიდატები კენჭს იყრიან ტერიტორიულ და ეროვნულ ტერიტორიულ ოლქებში. ამომრჩევლებს შესაძლებლობა ეძლევათ ხმა მისცენ ჩვენი საზოგადოებრიობის უყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებს და ამით გამოხატონ გარ- დაქმნის იდეებისადმი თავიანთი ერთგულება.

ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 მარტი, კვირა, 1989 წ.
№ 59 (9978) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

განუზომელია ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური როლი და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში. იგი პირდაპირ კავშირშია ადამიანების კეთილდღეობასთან და, რაც მთავარია, თითოეულ ჩვენგანს აძლევს უყველაზე ძვირფას საგანძურს — ჯანმრთელობას!

შორს აღარაა ის დრო, როცა გვექნება ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამა, რომლის პროექტის შემუშავებას უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ ჩვენი სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო კომიტეტები და ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

პროგრამის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მოსახლეობის ფართო ფენები, შემდეგ კი მოეწყობა პროგრამის პროექტის საჯარო განხილვა. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდესი მონაპოვარია.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მასალების უმეტესობა ადამიანების ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს ეძღვნება.

## „ჩვენ დავეხმარებით მაღალტანიანებს!“

### „ლელოს“ წინადადებას გამოეხმაურა „დინამოს“ ფაბრიკა

თქვენი გაზეთის ამა წლის 14 და 19 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებული იყო წერილები „დახლებზე კი სიცარიელე იყო“ და „ვინ დაეხმარება მაღალტანიანებს“.

ამ კრიტიკულ წერილებში ტრიკოტაჟის სპორტული ნაწარმის ფაბრიკა „დინამო“ უშუალოდ ნახსენები არაა, მაგრამ ვინაიდან ჩვენ პირდაპირი კავშირი გვაქვს სპორტული ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვებასთან და ამ საქმეს ვემსახურებით, კრიტიკა, ცხადია, ჩვენც გვეხება.

1988 წელს „დინამოს“ ფაბრიკას გეგმით დავალებული ჰქონდა 651,0 ათასი ცალი საბავშვო სპორტული ნაწარმის დამზადება, ფაქტიურად კი გამოვუშვით 703,0 ათასი ცალი პროდუქცია, რამაც მთლიანი გეგმის 40 პროცენტი შეადგინა ნატურალურ გამოხატულებაში.

რაც შეეხება მაღალტანიანი სპორტსმენების დაკმაყოფილებას სპორტული ფორმით, მათ ჩვენ ვამზადებთ სხვადასხვა სპორტული გუნდების მოთხოვნილებათა საფუძველზე, ამიტომაც შემდგომშიც რომ არ განმეორდეს ძველი ნაკლოვანებანი, უყველა სპორტულ ორგანიზაციას ვთხოვთ მიმართონ კონკრეტულად ჩვენს ფაბრიკას, ამ გუნდების მოთხოვნებს შესაძლებლობის ფარგლებში დავაკმაყოფილებთ.

მაგრამ ადვილი შესაძლებელია დიდი ზომის სპორტული ნაწარმი დაჭირდეს იმ ადამიანებსაც, რომლებიც გუნდებში არ იმყოფებიან. ჩვენ ასეთი შემთხვევებიც გათვალისწინებული გვაქვს, ამიტომაც მაღალტანიანებს შეუძლიათ პირადად მოგვცენ ინდივიდუალური შეკვეთა, მათთვის სპეციალურად დავამზადებთ საჭირო ზომის სპორტულ კომპლექტებს.

დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მოგვმართონ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, მეველეს ქ. № 7ა, „დინამოს“ ფაბრიკის დირექცია.

ანატოლი ლობჟანიძე,
ფაბრიკის დირექტორი.



მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

## სამი ჩემპიონი

ანზორ კიკნაძის სახელობის ტურნირი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს. ჭაბუკები სიფრთხილის გრძნობას უფროსებზე ნაკლებად ასდევენ და შეხვედრათა უმრავლესობა ვადამდე, წმინდა გამარჯვებით მთავრდება. აქ კი რეკორდსმენი ჯერჯერობით ახმეტელი კახა ლუზარაული გახლავთ, რომელმაც სულ რაღაც 15 წამში დაამარცხა თავისი ასაკის პირობაზე საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე ჰაიკა ულრიჰი (გდრ).

ეს მოხდა 49 კგ წონით კატეგორიაში გამართულ პირველ ნა-

ის. მე-3 გვ.



ადამიანი, რომელიც ერთხელ უკვე ეზიარა ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს, ის უთუოდ სხვებსაც გაიყოლიებს ჯანმრთელობის ბილიკებზე. სწორედ ასეთი პიროვნებაა თბილისის 190-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიისა და შრომითი სწავლების პედაგოგი გიორგი ექიზაშვილი. (იხ. მე-2 გვ.)

## შემოდგომაზე გადაწყდება

შარშან ოქტომბერს ანდალუზიის (ესპანეთი) პროვინციაში იფეთქა ცხენის საშიშმა ეპიდემიამ, რომელმაც საგონებელში ჩააგდო 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქის ბარსელონას მესვეურები. ეპიდემიამ შეაშფოთა საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციებიც და დღის წესრიგში დადგა პროგრამის ამ სახეობის გადატანის საკითხი სხვა რომელიმე ქვეყანაში.

ამას წინათ ბუდაპეშტში გაიმართა ცხენოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) გენერალური ანსამბლეა, რომელმაც კონკრეტულად ვერაფერი გადაწყვიტა, მაგრამ ყურად იღო ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის, ინგლისელი პრინცესა ანას წინადადება დაელოდნენ მიმდინარე წლის შემოდგომას და საბოლოო გადაწყვეტილებაც მაშინ მიიღონ.

„ლელოს“ მკითხველს ჩვენმა გაზეთმა უკვე მიაწოდა ცნობა მხატვრულ ტანვარჯიშში ბელგიაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ქართველი გოგონების წარმატების შესახებ.

სურათზე თქვენ ხედავთ ნატო ლეშქაშელს, რომელმაც ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა (ჩვენი გოგონები და მათ შორის ნატო ლეშქაშელი ახლა უკვე მომავალი ასპარეზობისთვის ემზადებიან).



კულტურის მუშაკთა სპარტაკიადა

## მიეძღვნა არჩევნებს

დამთავრდა სახალხო დეპუტატთა არჩევნებისადმი მიძღვნილი კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორგანიზაციების მუშათა პირველი სპარტაკიადა, რომელშიც 14 კოლექტივი მონაწილეობდა.

საერთო გუნდურ პირველ ადგილზე გავიდნენ ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის სპორტსმენები, რომლებმაც გაიმარჯვეს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ტურნირში, ტყვიის სროლაში და მაგიდის ჩოგბურთში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო სპორტნაგებობათა სამმართველოს გუნდი, რომელმაც იმარჯვა ბაგირის გადაძალვაში, ცურვაში, მძლეოსნობასა და ველოსპორტში.

მესამე ადგილზე გასულმა საქართველოს სატელერადიოკომიტეტის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს საწონების აწევაში.

მინიფეხბურთში უძლიერესი იყო კინოსტუდია ქართული ფილმის გუნდი.

სპარტაკიადის ასზე მეტმა მონაწილემ მშდ კომპლექსის ნორმატივი შეასრულა.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივი ჩაება დარგობრივი პროფკავშირის მუშაკთა თბილისის საქალაქო მუშათა პირველ სპარტაკიადაში, რომელიც ახლახან დაიწყო.

მზია მებალიშვილი.

# ფიზკულტურა და სპორტი — ჩვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საწინდარი!

## შეიგულე მომავალი ტანმოვარჯიშეები

**წლევანდელი** წლის დასაწყისში თბილისის კალინინის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორად დანიშნეს თამაზ კოტორაშვილი, რომელმაც საქმიანობა იმით დაიწყო, რომ მომავალ სპორტსმენთა შესარჩევად საბავშვო ბაღები შემოიარა და მათ „მხიარულ სტარტებსაც" დაესწრო.



ამ შეჯიბრების ფინალში, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვა 172-ე საბავშვო ბაღის გუნდმა „იამ", რომელსაც სპორტის ოსტატი დალი კილაძე მეთაურობდა. ამ საბავშვო ბაღიდან „მხიარული სტარტების" შემდეგ მომავალ ტანმოვარჯიშეებად 20 ბავშვი შეიგულეს.



## უკან, ახალგაზრდობისაკენ

### ანუ როგორ განიკურნა ვარჯიშით თავი გეოგრაფიის მასწავლებელმა





**ზუსტად** ექვს საათზე პატარა იაპონური ჯიშის ძაღლი ხენი წინა თათებს ასწევს და კარზე აფხაჭუნებს. პატრონის შეხმიანებაზე ძაღლი ეზოს კარისკენ გარბის და მოუთმენლად ელოდება სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის გამოსვლას. უფრო ხშირად ამ დროს ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის. ორივენი სამანქანე გზაზე გადიან და ნელი სირბილით მიჰყვებიან ტრასას. ასე მეორდება ყოველდღე ზამთარში თუ ზაფხულში, ავდარში თუ დარში...

გიორგი ექიზაშვილი თბილისის 190-ე სკოლის გეოგრაფიის და შრომითი სწავლების პედაგოგია. ჯერ კიდევ მშობლიურ სოფელ გომარეთში მუშაობდა, დმანისის რაიონში, როცა გულის ნევროზმა შეაწუხა. მაშინ ოცდაათისა იყო. მალე ნევროზს წნევის აწევა მოჰყვა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ყველაფერ ამას კუჭის წყლული და ნაღვლის ბუშტის ანთება დაემატა. ახლა ბატონი გიორგი 63 წლისაა და პრაქტიკულად ჯანმრთელია. მის განკურნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ფიზკულტურამ. იგი დღეს სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს.

— გომარეთი მაღალმთიანი სოფელია. ჩემი ავადმყოფობის გამო გადავწყვიტე საცხოვრებლად თბილისში გადმოვსულიყავი. ლამის ყველა საავადმყოფო მოვიარე. კუჭი ძალიან მაწუხებდა. ფარული სისხლდენა დამეწყო. ერთხანს ექიმებმა ეჭვი სიმსივნეზეც კი მიიტანეს. რენტგენმა ეს ვარაუდი არ დაადასტურა. ექიმები დაჟინებით მეუბნებოდნენ, ოპერაცია გაიკეთე, თორემ სისხლდენა კვლავ გამეორდებაო, ეს კი, მოგეხსენებათ, სიცოცხლისთვის საშიშია. ამ დროს 129-ე სკოლაში ვმუშაობდი. ფიზკულტურის მასწავლებელმა ავთანდილ ბარჯაძემ მირჩია სამკურნალო ვარჯიში დამეწყო და ძირითადად მუცლის კუნთების განვითარებაზე მეზრუნა. პრაქტიკული რჩევის გარდა საჭირო ლიტერატურაც მათხოვა. იმ დროს ორმოცდაოთხი წლის ვიყავი. გადავწყვიტე უცხო თვალს მოვრიდებოდი, შინ დავიწყე ვარჯიში. თავიდან ძალიან გამიჭირდა, ყველაზე მეტად კუჭი მაწუხებდა, მაგრამ ტკივილს არ ვეპუებოდი. მალე შვება ვიგრძენი, მაშინ კი გადავწყვიტე საიდუმლო აღარ დამეცვა და ეზოში, ჰაერზე გავსულიყავი. მალე მივხვდი, რომ ესეც არ იყო საკმარისი. ჩემი სახლიდან თბილისის ზღვამდე სამი კილომეტრია. „ძუნძულით" მივდიოდი იქამდე, ზღვის ნაპირზე 30-40 წუთს ვვარჯიშობდი, შემდეგ ჯერ მშრალი პირსახოცით ვიზელდი ტანს, მერე — სველით, და ზღვაში შევდიოდი საბანაოდ. ზამთარში ორ-სამ წუთს, ზაფხულში — ხუთ-ათ წუთამდე. უკან ისევ „ძუნძულით" ვბრუნდებოდი. რამდენიმეჯერ უცხოეთში მომიხდა მოგზაურობა. მახსოვს იუგოსლავიაში ჩვეულებისამებრ ექვს საათზე ავდექი, სავარჯიშოდ ჩავედი. შორიდანვე დავინახე, ზღვის პირას ხალხი გამოსულიყო სავარჯიშოდ. იქვე ჩემს გვერდით გერმანელ ტურისტთა ჯგუფი ბურთს თამაშობდა, რომ დამინახეს, მარტო ვიყავი, ბურთი გადმომიგდეს შემოგვიერთდიო. თბილისის ზღვა მომაგონდა, გული მეტკინა, რომ ბევრი არ იყენებს მის სიკეთეს.

● **ბატონო გიორგი, საბოლოოდ რამდენ ხანში განიკურნეთ?**

— ჩემმა პასუხმა შეიძლება ბევრს გული გაუტეხოს. ვარჯიში 1970 წელს დავიწყე. ერთ წელიწადში თავბრუს ხვევამ გამიარა, ხუთი წლის შემდეგ წნევა მომიწესრიგდა, ცოტა უფრო გვიან გულიც საგულეში ჩადგა. რაც შეეხება კუჭს და ნაღვლის ბუშტს, მთლიანად მხოლოდ შვიდი წლის ვარჯიშით განვიკურნე. სამაგიეროდ, ახლა ოცი წლით უმცროსად ვგრძნობ თავს. ორგანიზმი ისე გამიკაჟდა, ხალხის რომ არ მერიდებოდეს, ზამთარში პიჯაკით ვივლიდი, არადა, სანამ ვარჯიშს დავიწყებდი, უნდა გამოგიტყდეთ, სულიერად დაცემული ვიყავი, სიცოცხლეზე ხელი მქონდა ჩაქნეული. ქუჩაში გამოსვლის მეშინოდა, არ წავიქცე-მეთქი. დღეს ფიზიკური შრომა სიამოვნებას მგვრის, ჩემი ხელით ვამუშავებ მიწის ნაკვეთს, გარდა ამისა, სადურგლო საქმეც მიყვარს.

● **უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვიამბობთ თქვენი ვარჯიშის მეთოდებზე?**

— წინასწარ ვიტყვი, რომ ჩემი „რეცეპტი" ალბათ ყველასთვის არ გამოდგება. ამ საქმეში სასურველია სპეციალისტების რჩევა. აუცილებლად უნდა იცოდე, რომელ ორგანოს რა ვარჯიში რგებს. გარდა ამისა, სანამ ვარჯიშს დაიწყებდე, უნდა ირწმუნო, რომ აუცილებლად გიშველის. თავიდან მეც გამიჭირდა. მახსოვს კისრის გარშემო თავს ხუთჯერ ძლივს ვაბრუნებდი, ძარღვები მეჭიმებოდა, თავბრუ მეხვეოდა, თავდაპირველად ასევე ცუდად იმოქმედა იოგების სისტემით სუნთქვითმა ვარჯიშმა, მაგრამ ეჭვი არასოდეს შემპარვია, რომ განვიკურნებოდი.

● **არასოდეს დაგზარებიათ ზამთარში თბილი ლოგინიდან წამოდგომა, ყინვაში, თოვლსა თუ ქარბუქში სავარჯიშოდ გამოსვლა?**

— ფიზკულტურამ, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე მაჩუქა. მას ვუმადლი, რომ დღეს დაღლა რა არის, არ ვიცი. ერთხელ შეიძლება დაგეზაროს წამოდგომა, ვარჯიში, მაგრამ თავს უნდა სძლიო და თანდათან შეეჩვევი. საკუთარი პრინციპის ღალატი ადამიანს კარგს არაფერს მოუტანს. გარდა ამისა, მე ხომ გეოგრაფი ვარ, და ბუნება მარტო მაშინ კი არ მიყვარს, როცა მზიანი და წყნარი ამინდია, არამედ, მაშინაც, როცა ბობოქრობს. წვიმა, თოვლი და ქარბუქი კაცს მაშინ აკრთობს და აშინებს, როდესაც მისგან ზიანს ელის. სხვა შემთხვევაში ეს რომანტიკაა. თბილისის ზღვაზე ორი „ბაზა" მაქვს: „საზამთრო" და „საზაფხულო". ხვდარში ტყეპარკში შევდივარ, იქ ბევრი მყუდრო ადგილია.

● **კვების რეჟიმს თუ იცავთ ან ალკოჰოლიან სასმელს როგორ უყურებთ?**

— განსაკუთრებულად არ ვიკვებები, ვცდილობ უფრო საქონლის ხორცი და რძის პროდუქტები მივიღო, რაც შეეხება ალკოჰოლს, ძალიან ცოტას ვსვამ. რამდენჯერმე, როცა ჩემს პრინციპს ვუღალატე, ცუდად ვიგრძენი თავი.

● **გავიგეთ, დღეს მარტო აღარ ვარჯიშობთ...**

— ამ ხუთი წლის წინ ფიზკულტურის სიკეთეს ვაზიარე ჩემი ყოფილი მოწაფეები — დღეს უკვე ინჟინერი ნუგზარ მანძულაშვილი და მხატვარი გოჩა ბასიაშვილი. დღესაც ერთად ვვარჯიშობთ. ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ ჩვენი სკოლის მეათეკლასელი მოსწავლეები ბადრი და დავით სამადაშვილები, ვასილ უქრიაშვილი, მამუკა მიგრიაული, შალვა მიშველაძე. არიან ისეთებიც, ადრე ძნელად აღსაზრდელად რომ ითვლებოდნენ. დღეს ეს ბიჭები ისე „მოთვინიერდნენ", მასწავლებლებსა და მშობლებს უკვირთ კიდეც. შვილებიდან და შვილიშვილებიდან ჩემს გზას მხოლოდ სამი გამოჰყვა. ჰო, ათი წელია ჩემთან ერთად დადის ჩემი ძაღლი. იგი საოცარი სიზუსტით გრძნობს დროს, დილით თუ ოდნავ შემაგვიანდა, კარზე აფხაკუნებს, მეძახის. მერე ჰაერზე დარბის, კოტრიალებს, წამოსვლის დროს კი ჩერდება და მორჩილად მელოდება.

● **რას იტყვით ჩვენი მოსწავლეების ფიზიკური მომზადების დონეზე?**

— ეს შეკითხვა საკმაოდ ვრცელ პასუხს მოითხოვს. შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩემს კოლეგას ვაწყენინებ. სამწუხაროდ, ჩვენს სკოლებში საერთოდ საგნები და მათ შორის ფიზკულტურაც, ზერელედ, არასაფუძვლიანად ისწავლება (ჩემი დაკვირვების გარდა ამის შესახებ სხვა ინფორმაციაც მაქვს). ამაში, ცხადია, დიდი „წვლილი" მიუძღვის ჩვენი ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც თავისუფალი აზრი იდევნებოდა. დღეს გარდაქმნამ საშუალება მოგვცა ახლებურად შევხედოთ ბევრ საკითხს, თუმცა, მოგეხსენებათ, ამას გარკვეული დრო, წლები სჭირდება. ბევრი ფიზკულტურის მასწავლებელი იმას სჯერდება, რომ სათამაშოდ ბურთი მიუგდოს მოსწავლეს. ისინი იშვიათად ცდილობენ მოსწავლეები ტანვარჯიშის საფუძვლებს აზიარონ. ლიტონი სიტყვები რომ არ გამომივიდეს, ერთ მაგალითს მოვიყვან. მოსწავლეები ხშირად დამყავს ფეხით სალაშქროდ. ერთხელ უფროსი კლასის მოსწავლეები ზედაზენზე წავიყვანე. სამხრეთის, საკმაოდ ციცაბო მხრიდან ფეხით უნდა ავსულიყავით. ვიფიქრე, ხანდაზმული კაცი თუ ავალ, ამათ რა გაუჭირდებათ-მეთქი, მაგრამ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგობიჭები ისე დაიქანცნენ, გზის გაგრძელება ველარ შეძლეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ფიზიკური გაწვრთნილობა აკლდათ. ფიზიკური კულტურის ჩვევებს საბავშვო ბაღში უნდა ეყრებოდეს საფუძველი (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქ ძალზე იშვიათად ასწავლიან ამ საქმის სპეციალისტები), სკოლაში კი ეს ჩვევები უნდა გაღრმავდეს და განმტკიცდეს. იმედი მაქვს, დადგება დრო, როდესაც ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად ჩვენშიც ჩვეულებრივ „სანახაობად" იქცევა მოვარჯიშე ადამიანი.

**საუბარი ჩაიწერა,**
**ჯემალ კახრაძემ.**

## კარგი პირი უჩანს

**თბილისის** 142-ე საშუალო სკოლაში ფიზკულტურასა და სპორტთან დიდხანს მწყრალად იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ახალი თანამშრომლები მოვიდნენ, საქმეს კარგი პირი უჩანს.

სკოლის ახალი დირექტორი სოსო ლაგვილავა, ფიზკულტურის მასწავლებელი მარინა იასტრჟემსკაია და შეფები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან მოსწავლეთა გაკაჟება-გაჯანსაღების საქმეში დიდ დაინტერესებას იჩენენ.

სკოლაში ჩამოყალიბდა სპორტის ახალი სექციები, ახლახან კი აქ ჩატარდა „მხიარული სტარტები", რომელშიც წარსულში ცნობილი სპორტსმენი ვახტანგ ბალავაძე მიიწვიეს.





**ვიქტორ ბუკინის ტექსტი და ფოტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „დიდი მარათონი“ დამთავრდა

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „დიდი მარათონი“ — საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატი, რომელმაც ღირსეული გამარჯვებულები დაასახელა — თბილისელი ოსტატი ნათია ჯანჯღავა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი) და მისი თანაქალაქელი, ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი და ელგუჯა ფხაკაძე). ორივე მოჭადრაკემ დამაჯერებლად აიღო სტარტი, თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იყო, ზედ ჩემპიონატის ფინიშზე კი „მეორე სიჩქარე“ ჩართო და იმედი გადაუწურა თავის მდევრებს. ნათიამ 10 პარტია მოიგო, 5 — ყაიმით დაამთავრა და ორჯერ დამარცხდა, ნინომ კი მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია, მოიგო 9 პარტია. და 7 შეხვედრაში დაუზავდა მეტოქეებს. ასე რომ, როგორც ხედავთ, ჩვენმა ახალმა ჩემპიონებმა, 17 წლის ნათია ჯანჯღავამ და 14 წლის ნინო ხურციძემ მართლაც ღირსეულად მოიპოვეს უძლიერესთა სახელი.

ასევე ქების ღირსია ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა, რომელიც დიდხანს ლიდერობდა სატურნირო ცხრილში და მხოლოდ ფინიშზე „დაუცდა ფეხი“, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო დაძაბულობას და წინ გაუშვა ახლა უკვე რესპუბლიკის ჩემპიონები. მაგრამ, ვფიქრობთ, არც III ადგილია ურიგო შედეგი ნიჭიერი მოჭადრაკისთვის.

სწორედ ამ სამეულმა გაინაღდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატში გამოსვლის უფლება.

მაგრამ, როგორც იცით, ამ პირველობას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა — უნდა დაესახელებინა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირების ოთხი მონაწილე.

და აი, ეს მეოთხე საგზური საქართველოს ექსჩემპიონს, გორელ საერთაშორისო ოსტატს ციალა ქასოშვილს ხვდა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში IV ადგილი დაიკავა.

აი, საბოლოოდ როგორ განაწილდა ადგილები სატურნირო ცხრილში — 1-2. ნათია ჯანჯღავა, ნინო ხურციძე — 12,5-12,5 ქულა, 3. ეკატერინე ფახიროვა — 11,5, 4. ციალა ქასოშვილი — 11, 5. ივეტა კურცხალია — 10, 6-7. ქეთევან მელაშვილი, ლია სადუნიშვილი — 9,5-9,5, 8-9 თამილა მესხი, ჰენრიეტა ლაგვილავა — 9-9, 10-11. ციური კობაიძე, გიული ალიხანაშვილი — 7,5-7,5, 12-13. სოფიკო ტერელაძე, ლელა თანდაშვილი —7-7, 14-15. ცირა მერეკლიშვილი, იამზე თვაური — 6,5-6,5, 16. თამარ ხუგაშვილი — 6, 17. ნატო ეძგვერაძე — 5,5, 18. ალა ჩაიკოვსკაია — 5.

გთავაზობთ XVI ტურის ზოგიერთი შეხვედრისა და XVII ტურის პარტიათა ტექნიკურ შედეგებს. **XVI ტური.** კობაიძე — ეძგვერაძე 0,5:0,5, ტერელაძე — ალიხანაშვილი 1:0, ხუგაშვილი — მერეკლიშვილი 0:1, ჩაიკოვსკაია — მელაშვილი 0:1, ლაგვილავა — მესხი 1:0, სადუნიშვილი — თვაური 1:0; **XVII ტური:** თვაური — კობაიძე 0,5:0,5, ხურციძე — სადუნიშვილი 1:0, მესხი — ფახიროვა 0,5:0,5, კურცხალია — ლაგვილავა 0,5:0,5, თანდაშვილი — ჯანჯღავა 0:1, მერეკლიშვილი — ჩაიკოვსკაია 0,5:0,5, ალიხანაშვილი — ხუგაშვილი 0:5:0,5, ეძგვერაძე — ტერელაძე 0,5:0,5, მელაშვილი — ქასოშვილი 0,5:0,5.

**სურათებზე:** ნათია ჯანჯღავა (მარცხნივ) და ნინო ხურციძე.

— მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# სამი ჩემპიონი

(დასასრული)

ნახევარფინალში. მეორეში კი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების წევრმა ვარდან ვოსკანიანმა იუკოს წყალობით აჯობა სოხუმელ დური გოგუას და მანაც ფინალის საგზური მოიპოვა. ლუზარაული და ვოსკანიანი „ძველი მეტოქეები“ ყოფილან: „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზეც შეხვედრიან ერთმანეთს და მაშინ ვოსკანიანს გაუმარჯვია მინიმალური უპირატესობით (ჰანტეით).

ახლა კი პირიქით მოხდა, დაძაბულ ბრძოლაში ვერც ერთმა ყმაწვილმა ქულის აღება ვერ მოახერხა და მსაჯებმა შეხვედრის ბოლოს აშკარად გააქტიურებულ ქართველ მოჭიდავეს მიანიჭეს უპირატესობა.

ასე მოიპოვა ახმეტის № 2 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა კახა ლუზარაულმა (მწვრთნელი ტარიელ შათირიშვილი) თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონობა — ჯერჯერობით ყველაზე საპატიო ჯილდო მის ხანმოკლე სპორტულ ბიოგრაფიაში.

საქართველოს გუნდის სხვა ორმა წევრმა, შალვა დორეულმა და მევლუდ მელაძემ (ორივე—თბილისი) თითო წაგების შემდეგ კარგად ჩაატარეს სანუგეშო შეხვედრები და ორივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ეტყობა, ყოველი უცხოელი ძიუდოისტისათვის ჩვენთან გამართულ შეჯიბრებაზე გამარჯვება მართლაც ბევრს ნიშნავს. უნდა გენახათ, როგორ ხარობდა გდრ-ის გუნდის წევრი სებასტიან ჰემპელი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 53 კგ წონით კატეგორიაში — პირდაპირ ჩემპიონის ზეიმი გეგონებოდათ. ბოლოს ჰემპელი გულს ველარ მოერია დაატირდა კიდეც. დიდ სიხარულს ველარ ფარავდა მისი თანაგუნდელი შტეფან ვალი (57 კგ), რომელიც ასევე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, აგრეთვე გდრ-ის მთელი გუნდი.

„ჩრდილოელთა“ ასეთი ექსპანსიურობის ფონზე ჩვენი მოჭიდავეები, თვით გამარჯვებულებიც კი, გაცილებით მშვიდად გამოიყურებიან, თითქოს წარმატებას შეეჩვივნენო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დანარჩენ ორ ფინალში (53 და 57 კგ) ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვებულს ზედმეტი ემოცია, ცხადია, არ გამოუმჟღავნებია.

53 კგ წონაში, როგორც უკვე გაცნობეთ, ჩემპიონი გახდა გიორგი ვაზაგაშვილი (მწვრთნელები იოსებ ფუხაშვილი და გივი საბაშვილი), რომელმაც ბოლო სამი ორთაბრძოლა, მათ შორის ფინალიც (დაამარცხა თბილისელი ზვიად დემეტრაშვილი) წმინდად მოიგო.

ვაზაგაშვილი (პროფკავშირები) ჯერ მხოლოდ მე-9 კლასში სწავლობს გორის რაიონის სოფელ ფლავისწყლის საშუალო სკოლაში.

საპატიო კვარცხლბეკზე ვაზაგაშვილის, დემეტრაშვილისა და ჰემპელის გარდა ავიდა საგარეჯოელი თემურ როსტიაშვილი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შეჯიბრება, როგორც იცით, 1972-1974 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის მიმდინარეობს. ეს განსხვავებაც თვალშისაცემია ამ ასაკში, თუმცა ბევრი „პატარა“ ტოლს არ უდებს „უფროსებს“. გ. ვაზაგაშვილის მაგალითი უკვე ვთქვით, ამავე წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა 14 წლის ირაკლი გვიჩიანმა, რომელსაც შემდგომში ფინალისკენ მიმავალი გზა როსტიაშვილმა გადაუღობა.

ამ დღეს გაიმარჯვა კიდევ ერთმა ახმეტელმა ფალავანმა მამუკა აბრამიშვილმა (მწვრთნელი გუგული აბრამიშვილი), რომელმაც ფინალში სულ რაღაც ერთ წუთში შეზოჭვით მოუგო რუსთაველ რამაზ ზედგენიძეს, საერთოდ, ამ ნიჭიერმა ჭაბუკმა თითქმის ყველა ბრძოლაში ვადამდე გაიმარჯვა და დამსახურებულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონობა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს შტეფან ვალმა და თბილისელმა ბექა ნარიმანაშვილმა.

## გუშინ...

**სალამოსაც მედლები სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა. გაცნობებთ ტექნიკურ შედეგებს.**

**62 კგ. 1. ბაირამ მუსეინოვი (ბაქო); 2. მაქსიმ ნოვოლოცკი (კურსკი); 3. ზაზა იმერლიშვილი (ქარელი) და ალექსანდრ ვოიტენკო (ალმა-ათა).**

**68 კგ. 1. ალექსანდრე ლვინიაშვილი (თბილისი); 2. ურუსხან ევლოევი (მინსკი); 3. კახა ბერუაშვილი (თბილისი) და ალექსანდრ კოლოევი (ორჯონიკიძე).**

**75 კგ. 1. ბაკური ერაშვილი (კასპი); 2. ირაკლი უზნაძე (თბილისი); 3. კობა გველესიანი (ლენტეხი) და არმენ ბალდასაროვი (ტაშკენტი).**

ტურნირის გამარჯვებულები



კახა ლუზარაული



გიორგი ვაზაგაშვილი



მამუკა აბრამიშვილი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**ხვალ** გაიმართება სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის 5 მატჩი.

თბილისის დინამოელები ვოლგოგრადში შეხვდებიან „როტორს“. ამ მატჩის მეორე ტაიმის რადიორეპორტაჟი იწარმოებს 19 საათიდან თბილისის დროით.

# ევროპა, VI ჯგუფი

**1990 წლის** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ევროპის ზონის VI შესარჩევ ჯგუფში ჯერ არც ერთი ქულა არ დაუკარგავთ ესპანელ ფეხბურთელებს. მორიგი მატჩი მალტის გუნდთან, რომელიც სევილიაში შედგა, ესპანელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0 (1:0), სტუმართა კარში 2-2 ბურთი გაიტანეს ნახევარმცველმა მიტჩელმა და თავდამსხმელმა მანოლომ.

ესპანეთის ნაკრების მდგომარეობა საკვალიფიკაციო ჯგუფში ფრიად მყარია, შემდგომ შესარჩევ შეხვედრას ესპანელები დუბლინში გამართავენ ირლანდიის გუნდის წინააღმდეგ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 5 | 5 | 0 | 0 | 14-0 | 10 |
| **უნგრეთი** | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| **ჩრ. ირლანდია** | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 3 |
| **ირლანდია** | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| **მალტა** | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### გფრ

**22-ე ტური.** „კაიზერსლაუტერნი“ — „ბაიერნი“ 1:1, „კარლსრუე“ — „კიოლნი“ 0:0, „ლევერკუზენი“ — „ჰანოვერი“ 3:1, „მიონხენგლადბახი“ — „დორტმუნდი“ 1:1, „ბოხუმი“ — „ნიურნბერგი“ 1:0, „აინტრახტი“ — „იურდინგენი“, 0:2, „ვერდერი“ — „მანჰეიმი“ 2:1, „ჰამბურგი“ — „კიკერსი“ 3:0, „შტუტგარტი“ — „სენტ პაული“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ბაიერნი“** | 22 | 42-17 | 34 |
| **„კიოლნი“** | 22 | 37-17 | 29 |
| **„ვერდერი“** | 22 | 36-22 | 29 |

### იტალია

**22-ე ტური.** „პესკარა“ — „ასკოლი“ 0:0, „იუვენტუსი“ — „ბოლონია“ 2:0, „ლეჩე“ — „კომო“ 0:0, „მილანი“ — „ვერონა“ 1:1, „სამპდორია“ — „ინტერი“ 0:1, „ლაციო“ — „ნაპოლი“ 1:1, „ატალანტა“ — „ფიორენტინა“ 0:1, „პიზა“ — „რომა“ 1:0, „ჩეზენა“ — „ტორინო“ 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„ინტერი“** | 22 | 39-10 | 38 |
| **„ნაპოლი“** | 22 | 42-15 | 34 |
| **„სამპდორია“** | 22 | 31-13 | 30 |

### გდრ

**მე-16 ტური.** „კარლ-მარქს-შტადტი“ — „დინამო“ (დრეზდენი) 2:1, „მაგდებურგი“ — „ბრანდენბურგი“ 5:0, „როტ ვაისი“ — „ზაქსენრინგი“ 3:1, „უნიონი“ — „დინამო“ (ბერლინი) 2:3, „ვისმუტი“ — „ლოკომოტივი“ 1:5, „ჰემი“ — „ენერგია“ 0:1, „ჰანზა“ — „კარლ ცეისი“ 2:0, მე-17 ტურის მატჩი „დინამო“ (დრეზდენი) — „ზაქსენრინგი“ 6:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„დინამო“ (დრეზ.)** | 17 | 44-18 | 28 |
| **„დინამო“ (ბერ.)** | 16 | 35-19 | 21 |
| **„ჰანზა“ (როსტოკი)** | 16 | 23-15 | 21 |

### ბულგარეთი

**მე-18 ტური.** „რუსე“ — „სლავია“ 0:0, „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „თრაკია“ 1:0. „ჩერნომორეცი“ (ვარნა) — „სლივენი“ 1:0, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „სტარა ზაგორა“ 2:0, „ბოტევი“ — „სპარტაკი“ (ვარნა) 2:0, „ტირნოვო“ — „ორიახოვიცა“ 4:1, „ვიტოშა“ — „ბლაგოევგრადი“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„სრედეცი“** | 17 | 60-14 | 30 |
| **„ვიტოშა“** | 18 | 35-21 | 24 |
| **„ტირნოვო“** | 18 | 34-19 | 22 |

### შოტლანდია

**28-ე ტური.** „აბერდინი“ — „დანდი“ 2:0, „დანდი იუნაიტედი“ — „სენტ მირენი“ 1:4, „ჰართსი“ - „სელტიკი“ 0:1, „მოზერეული“ — „ჰიბერნიანი“ 0:0, „რეინჯერსი“ — „ჰამილტონი“ 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„რეინჯერსი“** | 28 | 48-21 | 42 |
| **„აბერდინი“** | 28 | 39-22 | 38 |
| **„დანდი იუნაიტ.“** | 27 | 37-17 | 36 |

### საბერძნეთი

**23-ე ტური.** აეკი — „ვოლოსი“ 3:2, „აპოლონი“ — „ლევადიაკოსი“ 2:0, „კალამარია“ — „პანიონისი“ 3:2, „არისი“ — „ოლიმპიაკოსი“ 0:0, „ეთნიკოსი“ — „ირაკლისი“ 1:1, „ლარისა“ — „დოქსა“ 3:3, „ოფი კრეტა“ — „როდოსი“ 0:0, პანათინაიკოსი“ — „პაოკი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| **აეკი** | 23 | 36-15 | 34 |
| **„ოლიმპიაკოსი“** | 23 | 38-16 | 32 |
| **„ირაკლისი“** | 23 | 32-20 | 29 |

### რუმინეთი

**მე-19 ტური.** „რაპიდი“ — „სიბიუ“ 1:0, „მორენი“ — „არჯესი“ 2:0, „ჰუნედოარა“ — „სტიაუა“ 1:2, „ოლტი“ — „გალატი“ 1:2, „დინამო“ — „კონსტანცა“ 6:0, „კრაიოვა“ — „ბაკაუ“ 1:1, „კლუჟი“ — „ვიქტორია“ 0:1, სპორტული“ — „ორადეა“ 1:0, „ტირგუ მურეში“ — „ბრაშოვი“ 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„დინამო“** | 19 | 80-16 | 37 |
| **„სტიაუა“** | 19 | 71-16 | 37 |
| **„ვიქტორია“** | 19 | 49-31 | 27 |

### ჩეხოსლოვაკია

**მე-19 ტური.** „სპარტა“ — „ბოჰემიანსი“ 2:1, „რუდა ჰვეზდა“ — „ვიტკოვიცე“ 2:0, „ინტერი“ — „სლოვანი“ 1:0, „სიგმა“ — „ნიტრა“ 4:0, „ბანსკა ბისტრიცა“ — „დუნაისკა სტრედა“ 3:0, „ტრნავა“ — „პლზენი“ 2:0, „ბანიკი“ — „ჰრადეც კრალოვი“ 1:0, „სლავია“ — „დუკლა“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„სპარტა“** | 19 | 53-16 | 31 |
| **„ბანიკი“** | 19 | 27-16 | 26 |
| **„ნიტრა“** | 19 | 25-26 | 21 |

### ინგლისი

**29-ე ტური.** „ლივერპული“ — „ლუთონი“ 5:0 (28-ე ტური), „ქოვენთრი“ — „ტოტენჰემი“ 1:1, „მიდლსბრო“ — „დერბი“ 0:1, „მილუოლი“ — „ასტონ ვილა“ 2:0, „ლუთონი“ — „შეფილდი“ 0:1, დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„არსენალი“** | 28 | 53-28 | 55 |
| **„ნორვიჩი“** | 27 | 40-28 | 53 |
| **„მილუოლი“** | 28 | 41-31 | 49 |

### არგენტინა

**26-ე ტური.** „დეპორტივო არმენიო“ — „გიმნასია ესგრიმა“ 0:0 (2:3), „რივერ პლეიტი“ — „ნეველს ოლდ ბოისი“ 4:1, „რესინგი“ (ბუენოს-აირესი) — „სან მარტინი“ 0:0 (4:3), „ველეზ სარსფილდი“ — „ინსტიტუტო“ 1:0, „დეპორტივო ესპანიოლი“ — „ფეროკარილ ოესტე“ 2:1, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „რესინგი კორდობა“ 1:1 (5:3), „როსარიო სენტრალი“ — „პლატენსე“ 3:1, „დეპორტივო მანდიუ“ — „სან ლორენსო“ 2:1, „ტალერესი“ (კორდობა) — „ბოკა ხუნიორსი“ 1:0, „ესტუდიანტესი“ — „ინდეპენდიენტე“ 1:1 (2:4).

| | | |
|---|---|---|
| **„ბოკა ხუნიორსი“** | 26 | 52 |
| **„არგენტინოს ხუნიორსი“** | 26 | 49 |
| **„ინდეპენდიენტე“** | 26 | 49 |
| **„გიმნასია ესგრიმა“** | 26 | 49 |

(საქ. ინფ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია“ — 21 მარტი.** „ფეხბურთთან თამაში“. საკუთარ მოსაზრებებს გვთავაზობს გაზეთის სპორტული მიმომხილველი ლევ ფილატოვი.

**25 მარტი.** „არმიულ სპორტს ბევრი პრობლემები აქვს“. ძნელი დრო დაუდგა ცსკა-ს ვაჟ კალათბურთელებს, რომლის პრობლემებზეც საუბრობს გუნდის კაპიტანი სერგეი ტარაკანოვი.

**„პრავდა“ — 20 მარტი.** „არსაით მიმავალი გზით“. ავტოსპორტის დალმასვლა ჩვენს ქვეყანაში, გაზეთის კორესპონდენტის აზრით, მაშინ დაიწყო, როდესაც „მონოპოლია“ სპორტის ამ სახეობაზე ხელში დოსააფმა ჩაიგდო.

**„ოგონიოკი“ — №11.** „არაფერი არ ხდება?“ ჟურნალის შეკითხვებს პასუხობს ცსკა-სა და საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების წევრი იგორ ლარიონოვი.

**„სოვეტსკი სპორტი“ — 21 მარტი.** „რას იგებს მომხმარებელი?“ წერილი იბეჭდება რუბრიკით „ვიკვლევთ პრობლემას: სამეურნეო ანგარიში — ფიზკულტურა“.

**24 მარტი.** „დორნა“ და მისი მგზავრები“. ცნობილი საშუამდგომლო ფირმის ვიცე-პრეზიდენტის საქმეებისა და გეგმების შესახებ.



**რა ხდის სპორტს საინტერესოს და მიმზიდველს? ცხადია, მხოლოდ სპორტული შედეგები არა. თვით საშეჯიბრო ატმოსფერო და მსაჯთა პროფესიული ხელოვნებაც მატებს მას დინამიკურობას და მომხიბვლელობას.**

# „ფორმულა-1“ საბჭოთა კავშირში

**სსრ კავშირის** საავტომობილო სპორტის ფედერაციამ და ლიხტენშტეინის ფირმა „დორნა მენეჯმენტ ენდ სერვის ლიმიტედ“-მა მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირში „ფორმულა 1“-ის განვითარების პირველი შეთანხმების ოქმს. ეს ოქმი გულისხმობს საბჭოთა კავშირში „ფორმულა 1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობების შესწავლას, აგრეთვე ითვალისწინებს მესამე დაინტერესებულ მხარესთან მოლაპარაკების წარმოებას.

ოქმში გამოყოფილია მოცემული პროექტის რეალიზაციის ხუთი ეტაპი:

1. მოსკოვში, ან მოსკოვის შემოგარენში სარბოლო ტრასის და შესაფერისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა საბჭოთა კანონმდებლობისა და საერთაშორისო წესების შესაბამისად;

2. რბოლებში მოსკოვის „გრან-პრის“, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის მუდმივი ეტაპის ორგანიზება;

3. საბჭოთა სპორტსმენების მომზადება „ფორმულა 1“-ის რბოლებში მონაწილეობისთვის;

4. საბჭოთა ავტომრბოლთა გუნდის მომზადება „ფორმულა 1“-ის მსოფლიო ჩემპიონატებში საასპარეზოდ;

5. საბჭოთა ტექნოლოგიით „ფორმულა 1“-ის კლასის ავტომობილის შექმნის შესაძლებლობის შესწავლა.




გარდა ამისა, განცხადება გაკეთდა იმის შესახებაც, რომ პროექტის განხორციელება მოხდება სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირების სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრ „ინფექსის“ დახმარებით.

უახლოეს ხანში სსრ კავშირის ავტოსპორტის ფედერაცია და „დორნა“ აპირებენ მხარდაჭერისთვის მიმართონ საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ორგანიზაციებს — ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) და ფოკ-ს („ფორმულა 1“-ის ავტომობილების კონსტრუქტორების ასოციაცია).

მძლეოსან კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც ადრე „ეროვნებათა კროსს“ უწოდებდნენ, ჩვენში ნაკლებად ცნობილი შეჯიბრებაა. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, პირველ ყოვლისა — ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა და უცხოელ სტაიერთა ოსტატობის დონეში. ამის გამო ცენტრალური ტელევიზია მუდამ მორცხვად „ხუჭავდა თვალს“ კროსმენთა შეჯიბრებებზე და უმაღლესი რანგის ჩემპიონატი, რომელსაც დიდი რეზონანსი აქვს მთელ მსოფლიოში, ჩვენში სპორტის მოყვარულთა ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ბოლო ხანს ზოგი რამ იცვლება და ჩვენც ვიხილეთ უძლიერეს კროსმენთა ასპარეზობის შემოკლებული, ნახევარსაათიანი სიუჟეტი, რომელიც ნორვეგიის ქალაქ სტავანგერიდან გადმოიცა.

სტაიერული რბენა ამჟამად ერთ-ერთ პოპულარულ სანახაობად ითვლება მსოფლიოში და ყველაზე მეტ მაყურებელსაც ის იზიდავს (ზოგიერთ მარათონს, მაგალითად, 1-2 მილიონი ადამიანი ადევნებს თვალს მთელი ტრასის სიგრძეზე). კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატი კი გრძელ მანძილებზე მორბენალთა უპირველესი ტურნირი და სპორტის ამ სახეობის მოყვარულთათვის დიდად საინტერესო სანახაობაა. ამ შეჯიბრებაზე თავს იყრიან მარათონელები და კლასიკურ სტაიერულ დისციპლინებში (5 და 10 კმ) მოასპარეზენი, სტიპლჩეზის (3 კმ-ზე წინაღობებით რბენა) ოსტატები. არცთუ იშვიათია საშუალო მანძილებზე მორბენალთა გამოსვლაც. ამ ზღვა ხალხში ბევრი კარგი მორბენლისთვის მეოცე თუ ოცდამეათე ადგილის დაკავებაც არ ითვლება სამარცხვინო შედეგად — კონკურენცია კროსის ტრასაზე უშეღავათო და მწვავეა.

ქალაქ სტავანგერში, სადაც კროსმენთა წლევანდელი ჩემპიონატი ჩატარდა, საბჭოთა კავშირის ნაკრები კარგა ხნის შემდეგ პირველად გამოვიდა სრული შემადგენლობით. ადრე მისი ხელმძღვანელები უფრო სტაიერ ვაჟებს არ სწყალობდნენ, მოქმედებდნენ პრინციპით — ჯერ სირბილი ისწავლეთო, ჩვენს ხუთეულს არც წლეულს გამოუჩენია თავი: სტავანგერში 12,5-კილომეტრიან დისტანციაზე მათგან საუკეთესომ, ცნობილმა მარათონელმა რავილ კაშაპოვმა 74-ე ადგილი დაიკავა. წარუმატებლად გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები ე. ოკოროკოვი (91-ე), მ. დასკო (101-ე), ე. ლეონტიევი (121-ე), ს. მაქსიმოვი (123-ე), ო. სიროეჟკო (132-ე), ხოლო გუნდმა 642 საჯარიმო ქულა დააგროვა და მე-18 ადგილი დაიკავა.

თუმცა ყოველთვის ასე არ იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ვილნიუსელმა სტაიერმა ალექსანდრ ანტიპოვმა ზედიზედ მოიპოვა კროსმენთა ჩემპიონატის ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები. თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რა გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა ამ ცნობილი მორბენლის გამოსვლამ „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე. ანტიპოვი წერდა, რომ მოსკოვის ოლიმპიადის წინ მას მწვრთნელთა დაჟინებული თხოვნით სისხლის პლაზმა გადაუსხეს, ე. ი. ეგრეთ წოდებული სისხლის დოპინგი მიაღებინეს. ეს ვერაგი წამალი იმითაც არის ცნობილი, რომ, თუ ორგანიზმს არ შეეთვისა, საფუძვლიანად არყევს და ზოგჯერ სამუდამოდ აზიანებს სპორტსმენის ჯანმრთელობას.

ანტიპოვსაც ასე დაემართა. მოსკოვის ოლიმპიადა, რომლის წინ (წამლის მიღებამდე) იგი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო (27.43,0 აჩვენა ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე) ვილნიუსელი სტაიერისთვის სავალალოდ დამთავრდა — მან 10-კილომეტრიანი დისტანციის ბოლომდე ვერ მიაღწია.

### ტურნირის ექო

# კენია, კენია...

შემდეგ კი სისხლის დოპინგით დაზიანებული ღვიძლის სამკურნალოდ, მისივე თქმით, ანტიპოვი რეგულარულად იღებდა პრეპარატებს, რომელთა შორის დოპინგის რეესტრში შეტანილი ნივთიერებებიც აღმოჩნდა. ეს იმით დამთავრდა, რომ ანტიპოვი 1981 წლის საკავშირო ჩემპიონატზე კროსში, რომელიც ჩვენთან, თბილისში ჩატარდა, დოპინგზე შეამოწმეს და დადებითი ანალიზის გამო ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს. მახსოვს, თბილისში იგივე ბედი ეწია მის თანაგუნდელს რომას საუსაიტისს — ჩემპიონატის ასეულობით მონაწილისაგან მხოლოდ ისინი აღმოჩნდნენ „შავ სიაში“. ანტიპოვი სპორტს გამოემშვიდობა, ნუგეშად კი დარჩა ქვეყნის რეკორდი 10 კილომეტრზე რბენაში, რომელიც ახლაც კი ხელშეუხებელია.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ სისხლის დოპინგის შესახებ საუბარი მაინც უნდა დავასრულოთ: ამ „უჩინარ“ მეთოდს, რომელსაც ვერავითარი სადოპინგო კონტროლის კომისია ვერ უგებდა თავსა და ბოლოს და რომელიც მარჯვედ გამოყენების დროს საოცარ ეფექტს იძლეოდა, მგონი, აღსასრული დაუდგა. ყოველ შემთხვევაში, მოთხილამურეთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ფინეთის ქალაქ ლაჰტიში ჩატარდა, პირველად მოეწყო დოპინგ-კონტროლი სისხლის ანალიზისთვის. კომისიის წევრები ირწმუნებოდნენ, რომ სისხლის დოპინგი საბოლოოდ აღკვეთეს. ვნახოთ...

დავუბრუნდეთ კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატს... 12,5-კილომეტრიან დისტანციაზე 200-მდე მორბენალი სპრინტერის სისწრაფით გაიჭრა წინ მოსახერხებელი ადგილის დასაკავებლად — ეროვნულ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ამ ნაირფერი „ქარავნის“ ბოლოს ან თუნდაც შუაში მოხვედრა ფაქტობრივად უკვე რბენის დასაწყისშივე უკარგავს ნებისმიერ მონაწილეს საპრიზო ადგილის მოპოვების შესაძლებლობას... რბენას დიდხანს ლიდერობდნენ ცნობილი ინგლისელი სტაიერი ტიმ ჰატჩინგსი, მსოფლიო ჩემპიონი სტიპლ-ჩეზში, იტალიელი ფრანჩესკო პანეტა, კენიელი მასაი და პორტუგალიელი კანარიო. მაგრამ შუა დისტანციიდან წინ გაიჭრა სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი 5 კმ-ზე რბენაში, კენიელი ჯონ ნგუგი და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. ნგუგი პირდაპირ ფანტასტიკური სტაბილურობით გამოდის კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატებზე, ეს მისი ზედიზედ მეოთხე გამარჯვება გახლდათ.

თვითონ ნგუგის შედეგი — 39 წუთი და 42 წამი — არ გახლავთ მაღალი მიღწევა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრასა საოცრად ძნელი იყო, გუბეებსა და ტალახიან ადგილებზე გადიოდა. ჰატჩინგსმა მეორე ადგილი დაიკავა — 40.10,0, კიდევ ერთმა კენიელმა მორბენალმა კიროჩიმ კი — მესამე — 40.21,0.

კენიის გუნდმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მას სულ 44 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, დიდი ბრიტანეთის გუნდს — 147, ეთიოპიელებს — 162.

დამაჯერებელი იყო კენიელ იუნიორთა უპირატესობა 8-კილომეტრიან დისტანციაზე. თეთრკანიან მორბენალთა შორის საუკეთესომ, იტალიელმა ქრისტიან ლაუპრეხტმა მხოლოდ მე-9 შედეგი აჩვენა. თუმცა პირად პირველობაში გაიმარჯვა ეთიოპიელმა ადის აბებემ — 25.07,0 (მეორე იყო კორირეა — 25.31,0, მესამე — ნიამუ — 25.33,0, ორივე კენიელია), გუნდური გამარჯვება კვლავ კენიელებს დარჩათ — 14 საჯარიმო ქულა. მეორე იყო ეთიოპია — 22, მესამე — იტალია — 76. საბჭოთა კავშირის გუნდმა 22-ე ადგილი დაიკავა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოზრდილთა ნაკრებს არც პერსპექტიული რეზერვი ჰყავს.

სამაგიეროდ, მოულოდინი გაამართლა ჩვენი ნაკრების მოკავარმა ძალამ — ქალებმა. მათ მიიგეს გუნდური პირველობა, 58 საჯარიმო ქულა დააგროვეს და სულ 2 ქულით აჯობეს ფრანგებს. ამერიკელები III ადგილზე გავიდნენ — 68.

პირად ჩათვლაში პირველი იყო ფრანგი ანეტ სერჟანი, რომელმაც შარშან მოპოვებული ბრინჯაო ოქროდ „გადააქცია“ და ოთხკილომეტრიან დისტანციაზე 22.27,0 აჩვენა. ნ. სტეპანოვა (სსრკ) მეორე იყო — 22.34,0, ლ. უილიამსი (კანადა) — მესამე — 22.41,0.

გოგონებს შორის კვლავ უძლიერესნი აღმოჩნდნენ კენიელები, რომლებიც ფეხშიშველა ასპარეზობდნენ (ერთი მოკლე კაბითაც კი გამოვიდა) — 40 საჯარიმო ქულა. საბჭოთა კავშირის ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა — 68, პორტუგალიის გუნდი მესამე იყო — 84.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

ევროპის საკლუბო ტურნირები

კალათბურთში

# დარჩა გადამწყვეტი შეხვედრები

ევროპის კალათბურთელ ვაჟთა რვა უძლიერესმა კოლექტივმა დაამთავრა ნახევარფინალური ასპარეზობა. ბოლო, მეთოთხმეტე ტურის მატჩების შედეგებს უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინაიდან გათამაშების შემდგომი ეტაპის მონაწილეთა ვინაობა ადრევე ცნობილი იყო.

ცსკა-ს შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. მან დაამარცხა საფრანგეთის „ლიმოჟი“, სხვა მატჩები კი ასე დამთავრდა: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) 106:77, „მაკაბი“ (ისრაელი) — „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) 102:90, „სკავოლინი“ (იტალია) — „არისი“ (საბერძნეთი) 99:92.

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „მაკაბი“ | 14 | 12 | 2 | 26 |
| „ბარსელონა“ | 14 | 11 | 3 | 25 |
| „იუგოპლასტიკა“ | 14 | 8 | 6 | 22 |
| „არისი“ | 14 | 8 | 6 | 22 |
| „ლიმოჟი“ | 14 | 6 | 8 | 20 |
| „სკავოლინი“ | 14 | 5 | 9 | 19 |
| ცსკა | 14 | 4 | 10 | 18 |
| „ნაშუა დენ ბოში“ | 14 | 2 | 12 | 16 |

ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ „მაკაბი“, „ბარსელონა“, „იუგოპლასტიკა“ და „არისი“. ეს შეხვედრები გაიმართება მიუნხენში 4-6 აპრილს.

## დენტლი გაიყიდა

**როგორც** უცხოური პრესა იტყობინება, „დეტროიტ პისტონსმა“ ადრიან დენტლი „დალას მავერიქსს“ მარკ აგირეში გაუცვალა, რის შედეგადაც „დეტროიტმა“ მიიღო 45000 დოლარი მოგება. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც დენტლის უსამართლოდ ექცევიან.

## „სპორტპროგნოზი“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-12 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 18-19 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.139.864 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (10) მოგება 7.709 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (448) — 344 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (11.190) — 48 მანეთი.

ჩვენს რესპუბლიკაში 13 შედეგი ვერავინ გამოიცნო. 12 შედეგი სწორად გამოიცნო 7-მა კაცმა, 11 — 291-მა.

• • •

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებზე შედგენილი სპეციალური 02 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 15 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 2.213.169 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (60) მოგება 553 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.256) — 52 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (11.110) — 21 მანეთი.

ჩვენს რესპუბლიკაში: 13 — 3 (სამივე თბილისი), 12 — 89, 11 — 712.

მე-12 და 02 სპეციალური ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 8 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07152